

## რელიგია და პოლიტიკა

“ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის  
მისთვის ღმერთიც არ იქნება მამა”  
(წმ. კვიპრიანე კართაგენელი)

რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოსა და ქვეყნის რელიგიურ ინსტიტუტებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებზე, დომინანტური რელიგიური ინსტიტუტისა და არადომინანტური რელიგიური ჯგუფების იურიდიულ სტატუსზე. ამა თუ იმ ქვეყანაში სახელმწიფოსა და რელიგიურ ჯგუფებს შორის ისტორიულად განსხვავებული მიდგომები და დამოკიდებულებები ჩამოყალიბდა. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის რამდენიმე მოდელი შეიძლება გამოვიყენოთ:

- 1) სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნა;
- 2) სახელმწიფოსა და რელიგიის კორპორაციული გამიჯვნა;
- 3) რელიგიური პრიორიტეტი;
- 4) სახელმწიფო რელიგია.

სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნის სანიმუშო მოდელია აშშ.

აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება რელიგიის თავისუფლების შესახებ, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნის საფუძველი გახდა, მაგრამ ამგვარი მოდელის დაკანონებას სახელმწიფოში, ეკლესიისადმი მტრულად განწყობის საწყისი არ გაუჩნდია. ეს მოდელი ეფუძნებოდა ემიგრანტთა გამოცდილებას, რომელთა დიდი ნაწილი სარწმუნოებრივი დევნის გამო გადასახლდა ამერიკაში. გამოირიცხა სახელმწიფოს სამართლებრივი დაკავშირება ეკლესიასთან, “კონსტიტუციის მამები” ისეთ სახელმწიფოს უყრიდნენ საფუძველს, რომელიც ყველა პიროვნებას მისცემდა საშუალებას დაუბრკოლებლად მიეღო რელიგიური საშუალებები. საბოლოოდ კი მივიღეთ ცივილიზაცია, რომელთან ზიარებასაც ასე მიეღწვის დოგმატური ჭეშმარიტების (მართლმადიდებლობის) უარმყოფელი და ლიბერალური ღირებულებების გამფეტიშებელი მსოფლიო “პროგრესული ელიტა”. რელიგიისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ მისცა საშუალება სატანურ ძალებს ჩარეულიყვნენ აშშ-ის უმაღლესი ხელისუფლების საქმეებში.

როდესაც სახელმწიფოსა და რელიგიის სრულ გამიჯვნაზე ვსაუბრობთ, ეს არ ნიშნავს რწმენისა და აღმსარებლობის აკრძალვას, არამედ პრინციპი რელიგიური თავისუფლებისა რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსს გულისხმობს.

აშშ-ში რელიგიურ ორგანიზაციებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსი ენიჭებათ, თავიანთ საქმიანობაში ისინი ყველასათვის სავალდებულო კანონებს ემორჩილებიან. კონსტიტუციიდან გამომდინარე რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით შესაძლებელია ადგილობრივი კანონების მიღება, რომელთა მიხედვითაც რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა და განათლება მთლიანად თვითდაფინანსებასა და (რელიგიურ) შემოწირულობებზეა აგებული.

დეიურედ გამოცხადებულმა სრულმა ნეიტრალიტეტმა ფაქტობრივად სხვაგვარი შეფერვა მიიღო. მაგალითად: კონგრესს ყავს საკუთარი მღვდელი, ზრუნავენ სამხედროთა სულიერ მდგომარეობაზე, ფიცის მიღების დროს გამოიყენება ბიბლია, რელიგიურ გაერთიანებებს საფოსტო პრივილეგიები გააჩნია, პრაქტიკულად დაიწყო სუფსიდირების გზით რელიგიურ ორგანიზაციათა ხელის შეწყობა, და იმის გამოკვეთა რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის რადიკალურმა გაყოფამ, შეიძლება საზიანო ეფექტიც კი მოიტანოს საზოგადოებისთვის.

პოზიტიური ნეიტრალიტეტის თვალსაზრისით საინტერესოა ბელგია, სადაც სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველები 1831 წლის

კონსტიტუციით განისაზღვრა და იგი კათოლიკეებისა და ლუთერანების ისტორიულ კომპრომისს წარმოადგენს. ბელგიის სამართალი რელიგიურ თანასწორობას აღიარებს, მაგრამ რელიგიურ ორგანიზაციათა თანასწორუფლებიანობის თვალსაზრისით მაინც განსხვავებული მიდგომა არსებობს. ზოგიერთმა რელიგიამ ოფიციალური აღიარება მიიღო, რაც გარკვეული უპირატესობის დაწესებასთან არის დაკავშირებული, რადგან რელიგიური ორგანიზაციის საკანონმდებლო დეფინიცია არ არსებობს, გადაწყვეტილების მიღების უფლება ამ სფეროში სასამართლოებს გააჩნიათ. ასეთი აღიარების შემდეგ ეკლესია სახელმწიფოსაგან იღებს დახმარებას მშენებლობებისა და შენობების შეკეთებისათვის. ეკლესიას გააჩნია თავისი რადიო და ტელე გადაცემები. შეიარაღებულ ძალებში და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი სასულიერო პირების საქმიანობა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

თუკი სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის პრინციპი ცარიელ ადგილზე აღმოცენდა საფრანგეთში, 1905 წლის 9 დეკემბერის კანონმა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის წესი ტრადიციული კონცეფციის საფუძველზე შემოიღო.

1958 წლის კონსტიტუციამ გააუქმა აღიარებული რელიგიური გაერთიანებების ინსტიტუცია. ასეთ სიტუაციებში რელიგიური გაერთიანებები აღარ წარმოადგენენ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, ისინი კერძო საქმეთა სფეროს განეკუთვნებიან. არ არსებობს ოფიციალური რელიგია, ან ისეთი, რომელიც დომინირებს, თუმცა ეს მოჩვენებითი ნეიტრალიტეტი ვლინდება ისეთი ფაქტების აღიარებაში, როგორცაა მრავალი მილიონი კათოლიკე ფრანგის სურვილის შესაბამისი რელიგიური აღზრდის აუცილებლობა, ეკლესიის ხელშეუხებლობა სახელმწიფოს მხრივ აღზრდის, სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით. რელიგიურ ორგანიზაციად აღიარება აქაც სასამართლოს მიერ ხდება. მართალია სახელმწიფო აქაც არც ერთ რელიგიურ გაერთიანებას არ აფინანსებს, რესურსები მათ კერძო წყაროებიდან უნდა მიიღონ, მაგრამ სახელმწიფოს არაპირდაპირი დახმარება მაინც არსებობს – სახელმწიფო ხელფასს უხდის იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ციხეებსა და საავადმყოფოებში მუშაობენ.

კორპორაციული გამიჯვნის მოდელია გერმანია. ეს მოდელი თავისი შინაარსით შუალედურია სახელმწიფო ეკლესიისა და სახელმწიფოს სრულ გამიჯვნას შორის. სახელმწიფოსგან ეკლესიის გამიჯვნა კონსტიტუციის მოთხოვნაა, მაგრამ ამავე დროს დაშვებულია ორივე ინსტიტუტის კოოპერაცია, იმ შემთხვევაში, როცა ადამიანზე ერთობლივი ზრუნვა საქმით უნდა გამოიხატოს. ის, რომ მოქმედი სამართლით არსებობს კოოპერაცია და არა სრული გამიჯვნა უპირველეს ყოვლისა დასტურდება იმით, რომ ეკლესიის ამოცანები საზოგადოების ამოცანებია (სახელმწიფოში კანონებისაგან განსხვავებით).

ეკლესიები და სხვა რელიგიური საზოგადოებები წარმოადგენენ საჯარო სამართლის კორპორაციებს, საზოგადოებრივი სამართლებრივი ხასიათით, ისინი ორგანიზებულინი არიან თავიანთი ამოცანების შესასრულებლად, არსებობს აგრეთვე შეზღუდული სამართლებრივი ზედამხედველობა. სახელმწიფოსგან ეკლესიის დამოუკიდებლობის პრინციპი მოქმედებს ისეთ სფეროში, როგორცაა ღვთისმეტყველება, ღვთისმსახურება, რელიგიური ჩვეულებები, პრინციპები, საქველმოქმედო დახმარება. იმ სფეროში სადაც სახელმწიფო და ეკლესია საერთო საკითხებს აწესებენ სახეზეა კოოპერაცია და არა კორდინაცია. ეს წესი 1980 წლის ოქტომბრის ძირითადად კანონმაც დაადასტურა, რომელმაც ნაციონალისტებს 12 წლის არსებობის 45 წლიანი სოციალისტური რეჟიმის პერიოდში რელიგიური გაერთიანებების დევნის შემდეგ დიდი ცვლილებები მოიტანა გერმანიაში ღანდებისათვის (მიწებისათვის). ე.ი. კონსტიტუციურად ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან, მათ შორის კორპორაცია ხელშეკრულებით ფორმდება.

მიწის მთავრობა და საეპისკოპოსო სისტემატიურ კონსულტაციებს აწარმოებენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მათ ურთიერთშეხებას განაპირობებენ, ან ორმხრივ ინტერესს წარმოადგენს.

კათოლიკურ ეკლესიას უფლება აქვს შექმნას საქველმოქმედო ჯგუფები განათლების, სოციალური და ჯანდაცვის სფეროში.

საერთაშორისო პრაქტიკაში, ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში, სადაც ტრადიციული რელიგიები არსებობენ, ისინი გარკვეული პრიორიტეტით სარგებლობენ.

ამ სახელმწიფოებში რელიგიური ურთიერთობის რეგულირების სამსაფეხურიანი სისტემა არსებობს:

- 1) კონკორდაციის სისტემა, რომელიც კათოლიკურ ეკლესიებთან ურთიერთობისთვის გამოიყენება.
- 2) შეთანხმებები, რომელსაც კონფესიები დებენ სახელმწიფოსთან.
- 3) რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციას ექვემდებარებიან.

ამ მოდელის ნათელი მაგალითია იტალია. კათოლიკურ ეკლესიასთან მიმართებაში კონსტიტუციის მე-7 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო და კათოლიკური ეკლესია თავიანთი წყობით დამოუკიდებელი და სუვერენული არიან. მათ შორის ურთიერთობა მოწესრიგებულია 1928 წლის ლატერანის კონკორდატით. კონკორდატის საფუძველზე დაიდო შეთანხმება, რომელიც ეხება საეკლესიო კორპორაციებსა და ქონებას, კათოლიკურ ღვთისმეტყველების სწავლებას სკოლებში, საეკლესიო დღესასწაულებსა და პოლიციელთა სულებზე ზრუნვის მოწესრიგებას. ლატერანის 1928 წლის კონკორდატმა ვატიკანის თეოკრატიული მონარქიის სუვერენიტეტი აღიარა, განსაზღვრა პოლიტიკური ეკლესიის უფლებები და პრივილეგიები იტალიაში და ამასთან ერთად დაადგინა პაპებისათვის მიყენებული ზარალის კომპენსაციის სახით 750 მილიონი ლარის გადახდა. ამის შემდეგ კათოლიკური ცენტრი მორწმუნეთა სახელით საერო ხელისუფლებასთან ურთიერთობებს კონკორდატის მეშვეობით ატარებს. ცნობილია 1928 წელს გერმანიასა და პორტუგალიასთან დადებული და სხვა კონკორდატები.

იტალიის რესპუბლიკა აღიარებს კათოლიკური ეკლესიის სრულ თავისუფლებას მისი სამოქმედო, აღმზრდელი, საქველმოქმედო, ევანგელიზაციისა და განწმენდის მისიის განხორციელებაში. კერძოდ, ეკლესიას გარანტირებული აქვს თავისუფლება ორგანიზაციაში, სახალხო რიტუალების, მოძღვრებისა და ღვთისმსახურების აღსრულებაში და არა საეკლესიო საკითხების განსჯალობაში.

ლუქსემბურგში საეკლესიო გადასახადი არ არის დაწესებული. ფინანსირება წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ეპისკოპოსები, მღვდლები და საეკლესიო პირები ხელფასს იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აღიარებული ეკლესიები, საზოგადოებრივი სამართლის სუბიექტები და კერძო სამართლის ფონდები თავისუფლდებიან გადასახადისგან.

ავსტრიაში მოქმედებს 1933 წლის კონკორდატი, რომელიც 1947 წელს ფედერალური მთავრობის მიერ იქნა აღიარებული. ასევე საეკლესიო სამართლის ძირითადი ნორმები მოცემულია 1887 წლის კანონში. ეს კანონი კონსტიტუციურ კანონადაც არის მიჩნეული. იგი ცნობს აღიარებული ეკლესიის სტატუსს, რომელიც დამოუკიდებლად აწესრიგებს და განაგებს საქმეებს, ინარჩუნებს კულტურას, განათლებისა და საქველმოქმედო მიზნებისათვის დაწესებულ ფონდებს.

კანონის პირველი პარაგრაფის მიხედვით, რელიგიური ორგანიზაციის აღიარებისთვის შემდეგი პირობებია საჭირო:

1) ღვთისმეტყველება, ღვთისმსახურება და განწყობა, არჩეული დასახელება არ უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო ან წესჩვეულების საწინააღმდეგო.

2) ორგანიზაცია კულტის მიმდევართა ერთი გაერთიანებით მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი.

ადიარება სასამართლო დადგენილებით ხდება. დღესდღეობით ავსტრიაში ადიარებითი სტატუსი აქვთ კათოლიკურ მეთოდისტთა, სომხურ, ახალ სამოციქულო ეკლესიას, ბუდისტურ რელიგიურ გაერთიანებას და სირიულ ორთოდოქსულ ეკლესიას.

პორტუგალიაში კათოლიკური ეკლესიის სტატუსი 1940 წლის კონკორდატითაა განსაზღვრული. კონსტიტუცია უპირატესობას არცერთ ეკლესიას არ ანიჭებს, არცნობს აგრეთვე ტრადიციული ეკლესიის სტატუსსაც.

სხვა კონფესიების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კანონი, რომელიც ყველა კონფესიის მიმართ გამოიყენება, გარდა კათოლიკური ეკლესიისა. კათოლიკური ეკლესია კონკორდატის საფუძველზე ბეგარისაგან გათავისუფლებულია. კანონიდან გამომდინარე სხვა კონფესიის წარმომადგენლები ამ უფლებებით არ სარგებლობენ, ასევე არ სარგებლობენ სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლების უფლებით, ამ კონფესიით თავისუფალი შესვლა საავადმყოფოებში, სახელმწიფო სკოლებში თუ ციხეებში ასევე არაა ადიარებული. მათ არ ირჩევენ სახელმწიფო თანამდებობებზე.

რელიგიისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება კონსტიტუციითაა განსაზღვრული, რაც იმას ნიშნავს, რომ ისტორიული როლისა და ტრადიციულობის გათვალისწინებით ესა თუ ის რელიგია სახელმწიფოს ნაწილი ხდება და მისი მმართველობის სფეროში ექცევა.

ამ მოდელის საინტერესო მაგალითია დიდი ბრიტანეთი. მართალია ბრიტანეთს და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს დაწერილი კონსტიტუცია არ გააჩნიათ და შესაბამისად არ არსებობს რელიგიის თავისუფლებისა და ეკლესიების თვითგამორკვევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები, მაგრამ მისი შემადგენელი ქვეყნები პრობლემის გარეშე თანაარსებობენ სახელმწიფო ეკლესიებითა და სახელმწიფო ეკლესიების გარეშე.

ინგლისის ეკლესია სახელმწიფო ეკლესიაა, რომლის სათავეში დედოფალი დგას. იგი ღორღთა პალატაში 24 ეპისკოპოსითაა წარმოდგენილი. ამიტომ ეკლესია სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენს და არ შეიძლება ლაპარაკი იყოს კონკორდატზე, ან ხელშეკრულებით ურთიერთობაზე.

შოტლანდიაში სახელმწიფო ეკლესიაა შოტლანდიის რეფორმისტული ეკლესია. უელსში ანგლოკანური ეკლესია სახელმწიფოსგან გამიჯნულია. ირლანდიის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ცნობს რომის წმინდა კათოლიკურ ეკლესიის განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომლის მიმდევარია სახელმწიფოს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

თავისებურებას წარმოადგენს ინგლისის ეკლესიის ორგანიზაცია საეკლესიო სამართლის ფორმირებაში. გენერალური სინოდი შედგება სამი პალატისაგან: ეპისკოპოსთა, მღვდელთა და მოყვარეთა. გადაწყვეტილებას სამივე პალატამ უნდა მისცეს ხმა. სინოდის გადაწყვეტილებას საპარლამენტო კანონის ძალა გააჩნია. თუ სინოდი ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც პარლამენტის პრეროგატივაა, პარლამენტი კონტროლის უფლებას იტოვებს. სხვა ეკლესიები ნებაყოფლობითი გაერთიანების სტატუსით სარგებლობენ. არ არსებობს ადიარებული ეკლესიის ცნება, ისევე როგორც საზოგადოებრივ-სამართლებრივი სტატუსის მქონე ეკლესია.

ამ მოდელის ერთ-ერთი მაგალითია დანია. ამ ქვეყნის კონსტიტუციის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიას სახელმწიფო ეკლესიად და სარგებლობენ სახელმწიფოს მხარდაჭერითა და მფარველობით.

სხვა რელიგიური გაერთიანებები დანიაში დამოუკიდებელ კერძო ინსტიტუტებს წარმოადგენენ. მათი შექმნისთვის სახელმწიფო ნებაართვა არ არის აუცილებელი და რაიმე დახმარებას სახელმწიფოსგან არ მიიღებენ.

ფინეთში ორი სახელმწიფო ეკლესიაა. კონსტიტუციის 83-ე პარაგრაფი ეხება ევანგელისტურ-ლუთერანულ ეკლესიის საკითხს. 80-ე პარაგრაფში-ორთოდოქსულ (მართლმადიდებელ) ეკლესიას. გარდა ამისა ორთოდოქსიული ეკლესიის შესახებ ცალკე კანონიც არსებობს, რომლის მიხედვით ფინეთის მთავრობაში ორთოდოქსიული ეკლესია ყველაზე დიდი ავტორიტეტია. ფინეთში არსებობს აგრეთვე კანონი რელიგიური ორგანიზაციის შესახებ. ამ კანონის მიხედვით რელიგიური ორგანიზაციის დაარსება შეუძლია ფინეთში მუდმივად მცხოვრებ მინიმუმ 20 ადამიანს. მათ რეგისტრაციას განათლებას სამინისტრო ახდენს.

ლუთერანულ და მართლმადიდებლური ეკლესიები საზოგადოებრივ-სამართლებრივ დაწესებულებებს წარმოადგენენ და მათ ერთი სასამართლო სისტემა გააჩნიათ. რაიხსტაგის გახსნისას ღვთისმსახურების წესები სრულდება. ეკლესიის საქმეები მინდობილი აქვს განათლების სამინისტროს. იკრიბება საეკლესიო გადასახადი, გათავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადებისგან.

საბერძნეთის კონსტიტუციის მე-3 მუხლი აღიარებს მართლმადიდებელ სარწმუნოების უპირატესობას, საბერძნეთის ეკლესია რელიგიურად განუყოფელია კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსგან და სხვა ორთოდოქსულ ეკლესიებისგან.

საბერძნეთის ეკლესია საზოგადოებრივი სამართლის სუბიექტს წარმოადგენს. საბერძნეთის ეკლესიას განაგებს სინოდი. არ არსებობს საეკლესიო გადასახადი, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდიები გამოიყოფა ეპისკოპოსების, მღვდლებისა და სხვა პერსონალის ხელფასებისთვის. ეკლესია თავისუფლდება ზოგიერთი ისეთი გადასახადისაგან, როგორცაა მიწისა და საშემოსავლო გადასახადები.

ისრაელის კანონი “ისრაელში დაბრუნების შესახებ” რეპატრაციის უფლებას აძლევს ყველა ებრაელს, მათაც, ვინც სხვა რელიგიას აღიარებს. ისრაელის უზენაესმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ებრაელი, რომელიც ქრისტიანობას მიიღებს, ერთმევა ისრაელში რეპატრაციის უფლება.

სკანდინავიის ქვეყნებში ყველას აქვს უფლება იყოს რომელიმე რელიგიური გაერთიანების წევრი. მხოლოდ ეკლესიის საქმეთა მინისტრია ვალდებული შევდეთის ეკლესიის წევრი იყოს.

ისლანდიის კონსტიტუცია (1944წ) ასევე ადგენს ევანგელისტურ-ლუთერანულ ეკლესიის სახელმწიფო სტატუსს. თუ ისლანდიის მოქალაქე არ გადაიხდის საეკლესიო გადასახადს, მას გადასახადს იძულებით გადაახდევინებენ და მიემართება რეკიავიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე.

შვედეთის კონსტიტუციის თანახმად, კანონებს მხოლოდ პარლამენტი გამოსცემს. ეს ეხება საეკლესიო კანონებსაც. გენერალურ სინოდს უფლება აქვს შეიტანოს წინადადებები საეკლესიო კანონების ცვლილებებთან დაკავშირებით. სახელმწიფო უფლება-მოსილებას განეკუთვნება ეპისკოპოსებისა და პატრიარქების დანიშვნა. სინოდის წევრებს ირჩევენ ადგილობრივი საბჭოები. არსებობს საეკლესიო გადასახადები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში შედის. ფინანსურ დახმარებას სხვა რელიგიური ორგანიზაციები არ ღებულობენ.

განსხვავებული წესია ნორვეგიაში, სადაც რელიგიური ორგანიზაციები სახელმწიფოსაგან ფინანსურ დახმარებას ღებულობენ მორწმუნეთა რაოდენობის პროპორციულად.

იმ ქვეყნების მსგავსად, რომელთაც რელიგიის თავისუფლება აღიარეს, საქართველოს 1995 წ. კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად:

- 1) ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და სიტყვის თავისუფლება.
- 2) დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3) დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილი თავისუფლების შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათ უფლებებს.

კონსტიტუციით ასევე გარანტირებულია ყოველი ადამიანის თავისუფლება და კანონის წინაშე თანასწორობა, განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა (მუხ.14)

კონსტიტუციის ეს დებულებები სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებთან და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, მაგრამ რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის განსაზღვრა და უფლებამოსილებათა განხორციელება იმ ქვეყნების მსგავსი მოდელით ვითარდება, სადაც სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნას და ტრადიციული რელიგიისათვის უპირატესობის მინიჭებაზეა საუბარი. კონსტიტუციის მე-9 მუხლით: სახელმწიფო აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. კონსტიტუციის ამ მუხლმა განიცადა ცვლილება და დამატება, რომლის მიხედვით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა რეგულირდება კონსტიტუციური შეთანხმებით.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 12 აპრილის №183 დადგენილებით “რელიგიის საქმეთა საკითხების შესახებ” რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა გამოცხადდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საკუთრებად.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ავტოკეფალური ეკლესიაა. მას ცენტრი საქართველოში გააჩნია საპატრიარქოს სახით. ამიტომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა, მხოლოდ კეთილი ნება კი არ არის, არამედ მისი როგორც რელიგიური ორგანიზაციის, უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ვალდებულებაა.

საქართველოს საპატრიარქო თავის ფუნქციებს ასრულებს კანონიკური სამართლის ნორმებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში. ეს დებულება გულისხმობს, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე საპატრიარქოს გარანტირებული აქვს ორგანიზაციული თავისუფლება.

სახელმწიფო საპატრიარქოს ანიჭებს შესაძლებლობას სახელმწიფო საავადმყოფოებში, თავშესაფარებში, სასჯელაღსრულების და სხვა დაწესებულებებში განახორციელოს ღვთისმსახურება.

სახელმწიფო აღიარებს საეკლესიო სამართლის ნორმებით განხორციელებული ქორწინების შედეგებს იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტი რეგისტრირებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებში.

განათლების საკითხებთან დაკავშირებით ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ნებისმიერი საფეხურის და კატეგორიის სკოლების და საგანმანათლებლო დაწესებულების თავისუფალი შექმნის უფლება.

საქართველო სცნობს რელიგიურ კულტის ღირებულებას, ითვალისწინებს მართლმადიდებლობის პრინციპების მნიშვნელობას ქართველი ხალხის ისტორიულ მემკვიდრეობაში და აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო სფეროში კორპორაციული ურთიერთობების რეგულირებისთვის შეიძლება ცალკე შეთანხმება დაიდოს განათლების სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის.

სახელმწიფო აღიარებს ქართველი ერისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობას სულიერი ამაღლებისა და მისი ინტელექტუალური განვითარებისთვის გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციის და, ამიტომ მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება აკადემიური ტიტულების ურთიერთცნობის საკითხი. დღეს უკვე მწვავედ დადგა საკითხი მართლმადიდებლური პოლუსის ფორმირების, ჭეშმარიტად მართლმადიდებლური

მოძრაობის შექმნისა, რომელიც ბუნებრივად ჩაუდგება სათავეში ქართული სახელმწიფოს მშენებლობას. ორასწლოვანი მონობით, ბოლშევიკური და “ლიბერალური რევოლუციებით” თუ ექსპერიმენტებით დაქანცული ქართველობა ნელნელა იწყებს გამოღვიძებას და ხვდება, რომ საკუთარ ფეხებთან დაბრუნების გარეშე საქართველოს აღორძინება შეუძლებელია.

იშვიათია ერი, რომელსაც ამდენი მოწამე ჰყავდეს და არ არის ერი, რომლის ასიათასმა შვილმა ერთ დღეს დაიდგა მოწამებრივი გვირგვინი. ვინც ივერიის გაბრწყინებაზე საუბრობს უნდა იცოდეს რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის გაბრწყინების გზა მართლმადიდებლობისა და ქრისტეს ერთგულებისთვის თავგანწირვის გზაა. სწორედ ესაა ქართველი ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული მრავალ ქარტეხილში განმტკიცებული ეროვნული ცნობიერების ხერხემალი, რომელზეც იგებოდა და უნდა აიგოს ქართული სახელმწიფოებრიობა.

ჩვენი ქვეყნის აბსოლიტური უმრავლესობა აღიარებს ისტორიულ მემკვიდრეობას, არამხოლოდ ტერიტორიულ-მატერიალურს, არამედ სულიერს, ზნეობრივს, კულტურულს, აღიარებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას, ნდობას უცხადებს ამ მსოფლმხედველობის, ნდობას უცხადებს ამ მსოფლმხედველობის ისტორიულ მესაჯეს-საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. სწორედ ამ გზით იშვა “ძღვევაი საკვირველი” და ამ გზით მავალმა საქართველომ სახელმწიფოებრივად, პოლიტიკურად, და რაც მთავარია ზნეობრივად უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

მადლიერება და სამართლიანობა იურიდიულ სამართლებრივი თვალსაზრისით აისახა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებაში.

საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეთა უმრავლესობას მართლმადიდებლობა ესახება-როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საფუძველი.

პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით ეს იქნება არა ორიენტირებული, არამედ ბალანსირებული თვითმყოფადი ქვეყნის თვითმყოფადი პოლიტიკა. ისტორიულად სწორედ ასეთი გამოცდილებაა საქართველოსთვის ყველაზე წარმატებული და გასაზიარებელი: ავთენტური და არა მკვეთრად გამოხატული დასველური, აღმოსავლური თუ ჩრდილოური ორიენტაციები. სწორედ ასეთი პოლიტიკა ქმნის საუკეთესო პირობებს ჩვენი ეროვნულობისა და სარწმუნოების სიწმინდის დაცვისთვის.

როდესაც ქართულ იდიაზე, იესო ქრისტეს გზით სვლაზე საუბარი, აქ აუცილებელია მართლმადიდებლობა განსხვავებით “ფუნდამენტალიზმისაგან”. მართლმადიდებლობის ეროვნულ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიის საფუძვლად მიჩნევა ჩვენი ისტორიული უფლების და მემკვიდრეობის პრინციპს ემყარება.

მართლმადიდებლური ეკლესია მზადაა ითანამშრომლოს ყველა კეთილი განზრახვის მქონე ძალასთან აღმიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. ამ თანამშრომლობის განსაკუთრებულ სფეროებად უნდა იქცეს: ეროვნული და ეთნიკური ჯგუფების რელიგიური, კულტურული და ენობრივი უფლებების დაცვა, თავიანთი ცხოვრების წესის ქონის უფლების უზრუნველყოფა, პიროვნების დაცვა ხელისუფალთა და დამქირავებელთა მხრიდან განუკითხაობისაგან. მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლების მიხედვით ხელისუფლება არის ღმერთისგან, ფასეულობათა იერარქია და წესრიგის იერარქიაც ღვთისმიერია, ამიტომ ხელისუფლებას უნდა ვემორჩილებოდეთ, როგორც ამქვეყნად ღვთივმონიჭებული წესრიგის მარეგულირებელსა და მცველს. სხვაგვარად ყველაფერს ქაოსი და ანარქია მოიცავდა. მაგრამ ხელისუფალთა მორჩილება მანამ გემართებს, სანამ ისინი ქვეყნად ღვთაებრივ წესრიგს იცავენ, სანამ ისინი ღვთის სამსახურში არიან. სანამ ხელისუფლებას მახვილი ბოროტების დასასჯელად და სიკეთის დასაცავად უპყრია. მაგრამ როდესაც ხელისუფლება საღვთო სიკეთის მდევნელი ხდება, როდესაც ხელისუფლება ყოვლადსიკეთის – უფალ იესო ქრისტეს და მისი ეკლესიის მდევნელი ხდება, მაშინ ასეთი ხელისუფლების არც მორჩილება და არც ყურისგდება არ შეიძლება.

ასეთ ხელისუფლებას ქრისტიანი უნდა ებრძოდეს და უნდა იბრძოდეს სწორედ სახარებისეული საშუალებებით. არაფრით არ შეიძლება, რომ მართლმადიდებელი ღმერთზე უმეტესად ადამიანს ემორჩილებოდეს. თუმცა ხელისუფლება ღვთისგანაა, მაგრამ როდესაც იგი ღმერთს განუდგება და მის წინააღმდეგ გაილაშქრებს, მაშინ იგი მოძალადედ იქცევა.

ამის მკაფიო მაგალითია დასავლეთი, სადაც საერო თუ სასულიერო ხელისუფლებამ ანტიქრისტეს გზა აირჩია. ქრიატიანთა მხრიდან ამ ხელისუფლებებისადმი ზემოთქმული დამოკიდებულების არ შესრულებამ გამოიწვია საზოგადოების დაშორება ღმრთისაგან. დაიწყო ანტიქრისტეში გლობალიზების პროცესი, რაც მკაფიოდ აისახა ავეროკონსიტუციაში: ქრისტიანული წარსულისა და მისი მემკვიდრე ქვეყნების გაერთიანების კონსტიტუციაში სტყვა ღმერთი არც კი არის ნახსენები. იგივე პროცესები მიმდინარეობს აშშ-ში, სადაც შინაარსგამოცლილი ქრისტიანული ტრადიციებიც კი აღარ ნარჩუნდება. მაგალითად, შობის რიტუალს ცვლის „ჰელოუინის“ წარმართულ-სატანისტური რიტუალი.

ხელისუფლება ღმერთისგან კურთხეულია. ყველაფერი რაც ღმერთისგან არის – კურთხეულია, ხოლო როდესაც ამ ხელისუფლებას ბოროტად იყენებენ – მაშინ იგი ეშმაკისგან არის.

ასეთია ხელისუფლების ბუნებასა და ფასეულობებზე სახარებისეული წმინდა მოციქულთა მამათამიერი მართლმადიდებლური მოძღვრება. ხელისუფალთაგან წამებულ დევნილ და ტანჯულ წმინდანთა რიცხვი მილიონობითაა, ისინი წმინდანი არიან და უკვდავნი, რადგან მათ დაამოწმეს ღმერთკაცობრივი ჭეშმარიტება – რომ ქრისტიანმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ამქვეყნიური ხელისუფლების მპყრობელი მეფეების, ხელისუფლების, საერო თუ სასულიერო მთავრობების უღმერთო და ღვთისმგმობელ ბრძანებებს და სულერთია, ვინ და სად იქნებიან ეს ხელისუფალნი. როგორც სახარება გვასწავლის, **“მორჩილებაი ჯერ არს ღმრთისაი უფროის, ვიდრე კაცთა”**. ასეთია მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება ხელისუფლების მიმართ ეკლესიის დამოკიდებულებაზე. ეს არის გზა და ჭეშმარიტება იესო ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიისა მოციქულთაგან დღემდე და ამქვეყნიური ცხოვრების აღსასრულამდე. ამიტომ ამ სწავლების ხარჯზე არც არაფრის დათმობა და არც კომპრომისი არავის, თვით მსოფლიო კრებასაც არ ხელეწიფება.